როგორც ადრე ვიუწყებოდით, საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს ბრძანებულებით ჩვენი ქვეყნის ორდენებითა და მედლებით დაჯილდოვებულია საბჭოთა სპორტსმენებისა და მწვრთნელთა დიდი ჯგუფი ზაფხულის XVII და ზამთრის VIII ოლიმპიურ თამაშებში წარმატებით მონაწილეობისათვის. დაჯილდოებულთა შორის არიან საქართველოს სპორტსმენებიც:

ლენინის ორდენით — სპორტის დამსახურებული ოსტატი რ. შავლაყაძე.

„საპატიო ნიშნის“ ორდენით — საბჭოთა კავშირის დამსახურებული მწვრთნელი გ. დიაჩკოვი, სპორტის დამსახურებული ოსტატი ა. ქორიძე, სპორტის ოსტატი გ. მინაშვილი, სპორტის ოსტატი გ. ჩიქვანაია, სპორტის ოსტატი ლ. გოგოლაძე, სპორტის დამსახურებული ოსტატი გ. ახვლედიანი (მოსკოვი), სპორტის დამსახურებული ოსტატი პ. მშვენიერაძე (მოსკოვი).

მედლით „შრომითი მამაცობისათვის“ — სპორტის დამსახურებული ოსტატი ბ. სხირ[illegible]ძე.

მედლით „შრომითი წარჩინებისათვის“ — საბჭოთა კავშირის დამსახურებული მწვრთნელი ა. იორდანიშვილი, სპორტის დამსახურებული ოსტატი გ. კარტოზია, სპორტის ოსტატი გ. კოსტავა, სპორტის ოსტატი ვ. რუბაშვილი, სპორტის ოსტატი ვ. უგრეხელიძე, სპორტის ოსტატი ა. შჩერბინა.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО

Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов

გამოცემის მე-17 წელი.

№ 112 (1594) შაბათი, 20 სექტემბერი, 1960 წ. ფასი 30 კაპ.



ოლიმპიელები მშობლიურ თბილისს ეწვივნენ. მარცხნიდან: სპორტის ოსტატები გ. მინაშვილი, ვ. უგრეხელიძე და სპორტის დამსახურებული ოსტატი ა. ქორიძე დედაქალაქის აეროპორტზე.

ფოტო მ. ზარგარიანისა.

## ლიდერობს ნ. გაფრინდაშვილი

ბრონო. (ჩვენი სპეც. კორ.). VIII ტურის შემდეგ გადადებული პარტიების დამთავრებისას ტოგონიძე ყაიმზე შეუთანხმდა კოზლოვსკაიას, რომელთანაც თუმცა ზედმეტი პაიკი ჰქონდა, მაგრამ მისი რეალიზაცია შეუძლებელი აღმოჩნდა. მეორე გადადებულ პარტიაში შპიკენესთან ტოგონიძეს უპირატესობა ჰქონდა და იგი ადვილად მიიყვანა გამარჯვებამდე. რუბცოვას ცდა მოეგო პარტია კოზულეევასთან. ყაიმით დამთავრდა, ხოლო მეორე გადადებული პარტია კოზლოვსკაიასთან კვლავ დაუმთავრებელი დარჩა.

—პირველი გამარჯვება მოიპოვა იშუტკინამ, რომელმაც მოუგო კოზულეევას. ბრილოვამ და ესტერკინამ დაამარცხეს შპიკენე, ანიშჩენკომ — ბრილოვა. ყაიმით დამთავრდა კურე-ანიშჩენკოს, ანიშჩენკო - ესტერკინას, კოზულეევა-გრაჩოვას და ორავ-ბრილოვას შეხვედრები.

IX ტურში მორიგი გამარჯვება მოიპოვა გაფრინდაშვილმა, რომელმაც სძლია კოზულეევა. ტოგონიძემ მოუგო ანიშჩენკოს, კურემ — გრაჩოვასა და იშუტკინამ — შპიკენეს. ყაიმზე შეთანხმდნენ ბრილოვა-ლიაპუნოვა და ესტერკინა-ორავი.

IX ტურის შემდეგ წინ არიან ნ. გაფრინდაშვილი — 8 ქულა, მ. ტოგონიძე — 7 ქულა, ო. რუბცოვა — 6,5 ქულა და ერთი გადადებული პარტია, ა. კოზლოვსკაია — 5 ქულა და ორი გადადებული პარტია.

# ოლიმპიადა დამთავრდა, ემზადებიან ოლიმპიადისათვის

## ტაბატას განცხადება

როგორც ცნობილია, XVIII ოლიმპიური თამაშები დანიშნულია ტოკიოში. ეს იქნება აზიაში ოლიმპიური თამაშების ჩატარების პირველი შემთხვევა. ამიტომ იაპონიის ოლიმპიური კომიტეტი საგანგებოდ ემზადება მისთვის.

რომის ოლიმპიური თამაშების დამთავრების შემდეგ XVIII ოლიმპიური თამაშების საორგანიზაციო კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ბ-მა ტაბატამ პრეს-კონფერენციაზე ჟურნალისტებს მოუთხრო, თუ როგორ ემზადებიან ტოკიოში ოლიმპიადისათვის.

განზრახულია ტოკიოს ცენტრალური სტადიონის რეკონსტრუქცია 100 ათასი მაყურებლისათვის, — განაცხადა ტაბატამ. — სპორტული ბაზები ისე აიგება, რომ ისინი წრეხაზად შემოერტყმიან „კოკურიცუს“ სტადიონს. ოლიმპიურ შეჯიბრებათა ჩატარების სხვა ადგილები გამოიყოფა ტოკიოს სამხრეთ-დასავლეთით. გაისად ათენში საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი დაადგენს თუ რომელ თვეში მოეწყობა ოლიმპიადა.

## ბატონ შეის ასე სურს

თუმცა ეს-ეს არის დამთავრდა XVII ოლიმპიური თამაშები, ხოლო ტოკიოს ზაფხულის ოლიმპიურ თამაშებს კიდევ მთელი ოთხი წელი გვაშორებს, მაგრამ უკვე დაიწყო ლაპარაკი, წინადადებათა წამოყენება, თუ სად გაიმართება 1968 წლის XIX ოლიმპიური თამაშები. ფეხის ხმას აჰყვა ნიუ-იორკის ახალი სტადიონის მფლობელი ულიამ შეიც, რომელმაც კარგი გამოცდილება მიიღო რომში და „ოქროს წყაროს“ მიგნების მიზნით გადაწყვიტა წინადადება შეეტანა XIX ოლიმპიური თამაშების „ქალაქთა მეფეში“—ნიუ-იორკში ჩატარების შესახებ. წინადადების გასვლის შემთხვევაში მას როგორც შესანიშნავი სპორტული ბაზის მფლობელს, ბევრი რამ აქვს გარანტირებული.

მაგრამ მარტო ბატონ ულიამ შეის სურვილი საქმეს არ შველის, თუმცა ვინ იცის, სულ ადვილი შესაძლებელია საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა, რომელმაც XIX თამაშების ჩატარების ადგილის საკითხი 1962 წელს უნდა გადაწყვიტოს, აირჩიოს ნიუ-იორკი.

# ბრძანებულება

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 1960 წლის პამირის ალპინისტური ექსპედიციის მონაწილეების საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

საქართველოს ალპინისტური ექსპედიციის მიერ პამირის მულუმართისა და იმიერალაის ქედების სიმაღლოვანი ტრავერსის წარმატებით განხორციელებისათვის დაჯილდოვდნენ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით:

**ახვლედიანი** ავთანდილ აფრასიონის ძე — მოიერიშეთა ჯგუფის წევრი — სტუდენტი.

**ახვლედიანი** ზურაბ იოსების ძე — ექსპედიციის უფროსის მოადგილე — პედაგოგი.

**ახვლედიანი** ლევან აფრასიონის ძე — ექსპედიციის უფროსი — ქუთაისის სპორტული საზოგადოებებისა და ორგანიზაციების საქალაქო კავშირის თავმჯდომარის მოადგილე.

**ბალახაძე** გიორგი ნიკოლოზის ძე — ექსპედიციის კინოოპერატორი.

**ბერაძე** ომარ შალვას ძე — მოიერიშეთა ჯგუფის წევრი — ინჟინერი.

**გაბლიანი** ილია ნესტორის ძე — მოიერიშეთა ჯგუფის წევრი — ბუხჰალტერი.

**გიგინეიშვილი** ოთარ ისიდორეს ძე — პამირის სიმაღლოვან ექსპედიციაში საქართველოს სპორტული საზოგადოებებისა და ორგანიზაციების კავშირის რწმუნებული — დოცენტი.

**გუგავა** დიმიტრი სერაპიონის ძე — მოიერიშეთა ჯგუფის წევრი — პედაგოგი.

**გუგავა** სოზარ ონისიმეს ძე — მოიერიშეთა ჯგუფის წევრი — მეტყევე ინჟინერი.

**დანგაძე** დიმიტრი — დავითის ძე — მოიერიშეთა ჯგუფის წევრი — მხატვარი.

**კეცხოველი** ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე — საქართველოს ალპინისტთა ფედერაციის თავმჯდომარე — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი.

**კობიძე** გიორგი პარმენის ძე — მოიერიშეთა ჯგუფის წევრი — ზეინკალი.

**კუხიანიძე** თეიმურაზ მაქსიმეს ძე — მოიერიშეთა ჯგუფის წევრი — გეოლოგი.

**ლეონტიევი** ივანე კონსტანტინეს ძე — ექსპედიციის რადისტი.

**მეძმარიაშვილი** ჯუმბერ ალექსანდრეს ძე — ექსპედიციის მწვრთნელი — საქართველოს ჯაფარიძის სახელობის ალპური კლუბის სასწავლო ნაწილის გამგე.

**მუხელიანი** ჯუანშერ ირაკლის ძე — ექსპედიციის ექიმი.

**ნარჩემაშვილი** თეიმურაზ ივანეს ძე — დამხმარე ჯგუფის წევრი — მექანიკოსი.

**ყალაბეგიშვილი** გივი ალექსანდრეს ძე — ექსპედიციის უფროსის მოადგილე — პედაგოგი.

**ჩართოლანი** ლაერტი პიპიკოს ძე — დამხმარე ჯგუფის წევრი — საქართველოს ალკკ მესტიის რაიკომის ინსტრუქტორი.

**ჩართოლანი** შოთა გაბრიელის ძე — დამხმარე ჯგუფის უფროსი — პედაგოგი.

**ჩართოლანი** პიპიკო გაიოზის ძე — მოიერიშეთა ჯგუფის წევრი — მუშა.

**ჩოგოვაძე** კუკური გიორგის ძე — დამხმარე ჯგუფის წევრი — პედაგოგი.

**წერედიანი** გივი იოსების ძე — დამხმარე ჯგუფის წევრი — პედაგოგი.

**ხერგიანი** ბექნუ ბესარიონის ძე — მოიერიშეთა ჯგუფის წევრი — კოლმეურნე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
გ. ძოწენიძე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ზ. გელდიაშვილი

ქ. თბილისი,
1960 წლის 19 სექტემბერი.



სურათზე: ლანჩხუთის ადგილობრივი მეურნეობის კომბინატის ბამბუკის საამქროში ფიზკულტურის ინსტრუქტორი რ. იმნაიშვილი (მარჯვნივ) ესაუბრება კომბინატის ფიზკულტურელებს კომბინატის კოლექტივის მუშაობის შესახებ. მასალა სათაურით „საქმიანობა საგრძნობლად გარდაიქმნა“ იხ. მე-2 გვ.

# „სპორტის დედოფალი"

## ოლიმპიურ თამაშებზე

ცნობილია, რომ მძლეოსნობას ოლიმპიურ თამაშებზე წამყვანი როლი უჭირავს სხვა სახეობათა შორის როგორც თავისი მასობრიობით, ისე ხანგრძლიობით. მართლაც, „სპორტის დედოფალი", როგორც მძლეოსნობას უწოდებენ, ყველაზე მნიშვნელოვანია თავისი მასშტაბებით და ოლიმპიური მედლების თითქმის ერთი მესამედი მის კუთვნილებას წარმოადგენს.

ამიტომ ინტერესმოკლებული არ იქნება ჩვენს მიერ ქვემოთ მოყვანილი ცხრილები, სადაც აღნიშნულია 10 ქვეყნის მძლეოსანთა მაჩვენებლები ყველა ოლიმპიურ თამაშებზე (პირველი 3 ადგილი), გარდა 1896, 1904, 1920 და 1948 წლებისა, როცა ასეთი მიღწევები ჰქონდა მხოლოდ 6-9 ქვეყანას.

მძლეოსნობა 1928 წლამდე ოლიმპიადაში წარმოდგენილი იყო მხოლოდ ვაჟებით, ხოლო შემდეგ თამაშებში მონაწილეობდნენ ქალებიც. ცხრილების პირველ სვეტში აღნიშნულია თვითეული სახელმწიფოს მიერ მოპოვებული ოქროს მედლების რაოდენობა, მეორეში — ვერცხლის, ხოლო მესამეში — ბრინჯაოსი. მეოთხე სვეტში მოცემულია ქულათა საერთო რაოდენობა 1-6 ადგილის ჩათვლით (1924 წლის თამაშებში ქულათა რაოდენობა ნაანგარიშევია პირველი 3 სვეტის ადგილის შედეგების მიხედვით).

### 1896 წ. ათენი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 1. აშშ | 9 | 5 | 2 | 99 |
| 2. საბერძნეთი | 1 | 3 | 5 | 64 |
| 3. საფრანგეთი | — | 1 | 1 | 19 |
| 4 უნგრეთი | — | 1 | 2 | 18 |
| 5. გერმანია | — | 1 | 1 | 16 |
| 6. ავსტრალია | 2 | — | — | 14 |
| 7. დიდი ბრიტანეთი | — | 1 | — | 12 |
| 8. შვეცია | — | — | — | 2 |

### 1900 წ. პარიზი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 1. აშშ | 17 | 12 | 12 | 245 |
| 2. დიდი ბრიტ. | 4 | 3 | 2 | 54 |
| 3. საფრანგეთი | 1 | 4 | 2 | 53 |
| 4. უნგრეთი | 1 | — | 1 | 19 |
| 5. შვეცია | — | — | 1 | 15 |
| 6. ავსტრალია | — | 1 | 2 | 13 |
| 7. ინდოეთი | — | 2 | — | 12 |
| 8. დანია | — | — | 1 | 7 |
| 9. ნორვეგია | — | — | 1 | 7 |
| 10. ჩეხოსლოვაკია | — | 1 | — | 5 |

### 1904 წ. სენტ-ლუისი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 1. აშშ | 22 | 23 | 21 | 425 |
| 2. დიდი ბრიტ. | 1 | — | — | 7 |
| 3. კანადა | 1 | — | — | 7 |
| 4. გერმანია | — | — | 1 | 7 |
| 5. საბერძნეთი | — | — | 1 | 6 |
| 6. ირლანდია | — | 1 | — | 5 |

### 1908 წ. ლონდონი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 1. აშშ | 15 | 10 | 9 | 221 |
| 2. დიდი ბრიტ. | 7 | 7 | 3 | 122 |
| 3. კანადა | 1 | 1 | 4 | 39 |
| 4. შვეცია | 2 | — | 3 | 26 |
| 5. სამხ. აფ. კავშ. | 1 | 1 | — | 15 |
| 6. საბერძნეთი | — | 3 | — | 15 |
| 7. ნორვეგია | — | 1 | 2 | 13 |
| 8. უნგრეთი | — | — | 1 | 12 |
| 9. ფინეთი | — | — | 1 | 12 |
| 10. გერმანია | — | 1 | 1 | 10 |

### 1912 წ. სტოკჰოლმი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 1. აშშ | 14 | 14 | 11 | 275 |
| 2. შვეცია | 4 | 5 | 5 | 92 |
| 3. ფინეთი | 6 | 4 | 3 | 90 |
| 4. დიდი ბრიტ. | 2 | 1 | 5 | 43 |
| 5. კანადა | 1 | 2 | 1 | 30 |
| 6. გერმანია | — | 2 | — | 16 |
| 7. სამხ აფ. კავშ. | 1 | 1 | — | 13 |
| 8. საბერძნეთი | 1 | — | 1 | 11 |
| 9. ნორვეგია | 1 | — | — | 11 |
| 10. საფრანგეთი | — | 2 | — | 10 |

### 1920 წ. ანტვერპენი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 1. აშშ | 9 | 12 | 8 | 199 |
| 2. ფინეთი | 9 | 14 | 3 | 105 |
| 3. დიდი ბრიტ. | 3 | 3 | 5 | 75 |
| 4. შვეცია | — | 3 | 3 | 36 |
| 5. საფრანგეთი | — | — | 3 | 26 |
| 6. იტალია | 1 | 1 | — | 16 |
| 7. შვეიცარია | — | 2 | — | 15 |
| 8. სამხ. აფ. კავშ. | — | 1 | 1 | 11 |
| 9. უნგრეთი | — | 1 | — | 10 |

### 1924 წ. პარიზი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 1. აშშ | 12 | 10 | 10 | 174 |
| 2. ფინეთი | 10 | 5 | 2 | 128 |
| 3. დიდი ბრიტ. | 3 | 3 | 5 | 56 |
| 4. შვეცია | — | 3 | 2 | 23 |
| 5. იტალია | — 1 | 1 | — | 12 |
| 6. ავსტრალია | 1 | 1 | — | 12 |
| 7. საფრანგეთი | — | — | 3 | 12 |
| 8. შვეიცარია | — | 2 | — | 10 |
| 9. სამხ. აფ. კავშ. | — | 1 | 1 | 9 |
| 10. უნგრეთი | — | 1 | — | 5 |

### 1928 წ. ამსტერდამი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 1. აშშ | 9 | 8 | 8 | 178 |
| 2. ფინეთი | 5 | 5 | 4 | 87 |
| 3. გერმანია | 1 | 2 | 6 | 64 |
| 4. კანადა | 4 | 2 | 2 | 59 |
| 5. შვეცია | 1 | 2 | 4 | 49 |
| 6. დიდი ბრიტ. | 2 | 2 | 1 | 40 |
| 7. საფრანგეთი | 1 | 1 | 1 | 27 |
| 8. იაპონია | 1 | 1 | — | 21 |
| 9. სამხ. აფ. კავშ. | 1 | — | — | 13 |
| 10. ჰოლანდია | — | 1 | — | 8 |

### 1932 წ. ლოს-ანჯელოსი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 1. აშშ | 16 | 13 | 6 | 247 |
| 2. ფინეთი | 3 | 4 | 4 | 63 |
| 3. დიდი ბრიტ. | 2 | 4 | 2 | 57 |
| 4. გერმანია | — | 2 | 3 | 53 |
| 5. კანადა | 1 | 3 | 5 | 46 |
| 6. იაპონია | 1 | 1 | 2 | 34 |
| 7. პოლონეთი | 2 | — | 1 | 22 |
| 8. იტალია | 1 | — | 2 | 20 |
| 9. ირლანდია | 2 | — | — | 17 |
| 10. შვეცია | — | 1 | — | 17 |

### 1936 წ. ბერლინი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 1. აშშ | 14 | 7 | 14 | 183 |
| 2. გერმანია | 5 | 4 | 7 | 105 |
| 3. ფინეთი | 3 | 5 | 2 | 71 |
| 4. იაპონია | 2 | 2 | 3 | 52 |
| 5. დიდი ბრიტ. | 2 | 5 | — | 47 |
| 6. იტალია | 1 | 2 | 2 | 34 |
| 7. კანადა | — | 1 | 3 | 30 |
| 8. პოლონეთი | — | 2 | 1 | 19 |
| 9. შვეცია | — | — | 2 | 19 |
| 10. ჰოლანდია | — | — | 2 | 15 |

### 1948 წ. ლონდონი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 1. აშშ | 12 | 5 | 10 | 179 |
| 2. შვეცია | 5 | 3 | 5 | 90 |
| 3. საფრანგეთი | 2 | 3 | 3 | 57 |
| 4. დიდი ბრიტ. | — | 6 | 1 | 54 |
| 5. ჰოლანდია | 4 | — | 2 | 46 |
| 6. ავსტრალია | 1 | 3 | 2 | 38 |
| 7. ფინეთი | 1 | 2 | — | 30 |
| 8. იტალია | 1 | 3 | 1 | 37 |
| 9. იამაიკა | 1 | 2 | — | 26 |

### 1952 წ. ჰელსინკი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 1. აშშ | 15 | 10 | 6 | 190 |
| 2. სსრ კავშირი | 2 | 8 | 7 | 121 |
| 3. გერმანია | — | 3 | 5 | 57 |
| 4. დიდი ბრიტ. | — | 1 | 4 | 56 |
| 5. ჩეხოსლოვაკია | 4 | 1 | — | 39 |
| 6. ავსტრალია | 3 | — | 1 | 38 |
| 7. იამაიკა | 2 | 3 | — | 33 |
| 8. უნგრეთი | 1 | — | 4 | 25 |
| 9. შვეცია | 1 | — | 2 | 24 |
| 10. საფრანგეთი | — | 2 | — | 18 |

### 1956 წ. მელბურნი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 1. აშშ | 16 | 10 | 5 | 210 |
| 2. სსრ კავშირი | 5 | 7 | 10 | 145 |
| 3. ავსტრალია | 4 | 2 | 6 | 78 |
| 4. გერმანია | — | 5 | 2 | 55 |
| 5. დიდი ბრიტ. | 1 | 4 | 2 | 52 |
| 6. პოლონეთი | 1 | 1 | — | 21 |
| 7. უნგრეთი | — | 2 | — | 21 |
| 8. ჩეხოსლოვაკია | 1 | — | 2 | 18 |
| 9. შვეცია | — | — | 1 | 13 |
| 10. ნორვეგია | 1 | — | 2 | 15 |

როგორც მოყვანილი ცხრილიდან ჩანს, ამერიკელებს აბსოლუტური ჰეგემონია ეპყრათ ოლიმპიურ თამაშებზე მძლეოსნობაში, მაგრამ ამ ჰეგემონიას პირველი ბზარი დაეტყო 1952 წელს ჰელსინკში, ხოლო მელბურნის თამაშებზე საბჭოთა მძლეოსნებმა კიდევ უფრო შეამცირეს განსხვავება და დაუახლოვდნენ ლიდერს. მას შემდეგ საბჭოთა კავშირის მძლეოსანთა გუნდმა ორჯერ დაამარცხა თავისი მეტოქე როგორც მოსკოვში, ისე ამერიკის შეერთებულ შტატებშიც.

სულ ახლახანს დამთავრდა რომის XVII ოლიმპიური თამაშები, სადაც საბჭოთა მძლეოსნებმა მიაღწიეს მთელ რიგ ბრწყინვალე წარმატებებს (შავლაყაძე, კრეპკინა, რუდენკოვი, თ. პრესი, ი. პრესი, პონომარიოვა და სხვანი). საბჭოთა კავშირის ნაკრებმა აქ კიდევ ერთი შესანიშნავი გამარჯვება მოიპოვა და მოუგო ამერიკის შეერთებული შტატების გუნდს ქულათა საერთო შეფარდებით—168:162.

## გურულ კოლექტივებში





ქუთაისის აბრეშუმის კომბინატში სპორტის მრავალი სახეობა ინერგება, მათ შორის განსაკუთრებით ნაყოფიერად მუშაობენ თავისუფალი და კლასიკური ჭიდაობის სექციები, რომლებსაც სპორტის ოსტატი დ. ჩაჩანიძე ხელმძღვანელობს. აქ უკანასკნელ ხანს მომზადდა 5 პირველი და 4 მეორე თანრიგის სპორტსმენი, ხოლო ერთმა ოსტატობა შეასრულა. ყველა ისინი მოწინავენი არიან შრომაშიც. სპორტის ოსტატი ო. სხირელი დამხარისხებელი საამქროს ზეინკალია, პირველთანრიგოსნები ჯ. ჭილაძე, ა. ღვინიაძე და გ. ლომსაძე სართ-სართავ საამქროს მოწინავე მუშებად ითვლებიან.

ახლა კომბინატის მოჭიდავეები ემზადებიან საქალაქო სპარტაკიადისათვის.

სურათებზე: მარცხნივ— ჯ. ჭილაძე მუშაობის დროს. მარჯვნივ — სექციის მეცადინეობაზე. მწვრთნელი დ. ჩაჩანიძე თვალყურს ადევნებს ჯ. ჭილაძისა და ო. სხირელის ჭიდაობას.

ფოტო და ტექსტი გ. ლოლომაძისა.

## საქმიანობა საგრძნობლად გარდაიქმნა

პირველად დაახლოებით ერთი წლის წინ გავეცანით ლანჩხუთის ადგილობრივი მეურნეობის კომბინატის ფიზკულტურული ორგანიზაციის საქმიანობას, რომელმაც მაშინ არასასიამოვნო შთაბეჭდილება დასტოვა. მასობრივ-ფიზკულტურული მუშაობა დაბალ დონეზე იდგა, არ ტარდებოდა შიდასაკოლექტივო ღონისძიებანი, იშვიათად მონაწილეობდნენ რაიონულ შეჯიბრებებში და ყველა ამას ემატებოდა ისიც, რომ ერთგვარად მოიკოჭლებდა ახალგაზრდების შრომითი დისციპლინა. კომბინატში თავს იმართლებდნენ: საამქროები რაიონული ცენტრის სხვადასხვა უბნებშია გაბნეული, ამიტომაც არ ხერხდება ახალგაზრდების დარაზმვა, მტკიცე ფიზკულტურული ორგანიზაციის, გუნდების შექმნაო.

მაშინ ამ ნაკლოვანებებზე დაიწერა პრესაში, იმსჯელა რაიონის ხელმძღვანელობამ და კომბინატის დირექციას ისღა დარჩა, რომ მეტი ზრუნვა გამოეჩინა ფიზკულტურისა და სპორტის განვითარებისათვის. დაიწყეს იმით, რომ შეარჩიეს მუშაკი, რომელიც კომბინატის ყველა საამქროს გაწვდებოდა, საერთო ენას გამონახავდა აქ მომუშავე რამდენიმე ასეულ ადამიანთან, შემოიკრებდა აქტივს, მასთან ერთად ჩამოაყალიბებდა სექციებს, იზრუნებდა ბაზების მოწყობაზე, ერთი სიტყვით, ახალგაზრდების, დირექციის მხარდაჭერით თავს მოაბამდა სპორტულ საქმეს.

არჩევანი ამ საქმის სპეციალისტ რ. იმნაიშვილზე შეჩერდა. ახლა მას აქ მუშაობის შვიდი თვის სტაჟი აქვს და საქმიანობა საგრძნობლად გარდაიქმნა. თუმცა ამ საქმეში დიდი დამსახურება მიუძღვის კომბინატის დირექტორს ე. ჩიჩუასაც — ხელმძღვანელს, რომელიც მზადაა დაუყოვნებლივ დააკმაყოფილოს ფიზკულტურელთა ყველა სამართლიანი მოთხოვნა.

კომბინატში ჩამოყალიბდა ფეხბურთის, კალათბურთის, ფრენბურთის, მძლეოსნობის სექციები, რომლებშიც თითქმის მარტო ახალგაზრდები გაერთიანდნენ, დაიწყო ვარჯიშები, გაიმართა რამდენიმე შეჯიბრება, მალე გაჩაღდა ბაზების მშენებლობა და ახლა კომბინატელების განკარგულებაშია მათივე ძალებით მოწყობილი, ლანჩხუთში საუკეთესო კალათბურთისა და ფრენბურთის მოედნები.

ფიზკულტურულმა მუშაობამ ფრთები გაშალა და თან გაიყოლია... ხანში შესულებიც, მაშინ ფიზკულტურის საბჭომ გაითვალისწინა რა მათი ასაკი და შესაძლებლობანი, კომბინატში შექმნა ჭადრაკის და თევზჭერის სექციები, მით უმეტეს, რომ აქ მასობრივად ამზადებენ ინვენტარს თევზაობის მოყვარულთათვის და ცხადია ლანჩხუთელებს ყველაზე მეტი უფლება აქვთ არა ერთგზის „შეამოწმონ" მათ მიერ დამზადებული. მალე აქ საკუთარი ძალებით დაამზადებენ ჩოგბურთის სამ მაგიდას და არსებულ სექციებს ეს სახეობაც მიემატება.

მიმდინარე წელს, გარდა იმისა, რომ გაიმართა კომბინატის პირველობები ჭადრაკში, კალათბურთში, მძლეოსნობაში, კარგად გამოვიდნენ რაიონულ შეჯიბრებებზეც, ხოლო ფეხბურთელები თავიანთი ზონის ფინალში გავიდნენ. მათ სპორტულ საქმიანობაში ღირსსახსოვარი მაინც კალათბურთის მოედნის გახსნაზე მახარაძელ თანამოსაქმეთა მოწვევა და მათთან მატჩის ჩატარება იყო. რაიონის ჩემპიონიც ჰყავთ აქ, ბამბუკის საამქროს გამგე რ. იმნაძე უძლიერესი მოჭადრაკეა ლანჩხუთში, რაიონში ნიჭიერ სპორტსმენებად იცნობენ აგრეთვე მილების ჩამომსხმელ ი. ორმოცაძეს, ხარატ — გ. ჩახვაძეს, მეავეჯე — ზ. გურგენიძესა და სხვებს.

ლანჩხუთის ადგილობრივი მეურნეობის კომბინატის ფიზკულტურელები უკვე შეუდგნენ სამზადისს საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისადმი მიძღვნილ საიუბილეო სპარტაკიადაში წარმატებით მონაწილეობისათვის და სოცშეჯიბრებაში გამოიწვიეს მახარაძელი თანამოსაქმენი, რათა გამარჯვებისათვის ბრძოლაში საბოლოოდ აღმოფხვრან ის ნაკლოვანებანი, რომლებიც ჯერ კიდევ შემორჩენილია მათს საქმიანობაში.

ო. გელაშვილი

## თათბირი საიუბილეო სპარტაკიადის შესახებ

ამას წინათ, ადგილობრივი მრეწველობისა და კომუნალური მეურნეობის მუშაკთა რესპუბლიკური კავშირის კულტურის სახლში ჩატარდა თათბირი, რომელსაც ესწრებოდნენ ამავე კავშირში შემავალი საწარმოებისა და დაწესებულებების ხელმძღვანელები, საფაბრიკო და საქარხნო კომიტეტების თავმჯდომარეები, ფიზკულტურის ინსტრუქტორები და ფიზკულტურის კოლექტივების საბჭოს თავმჯდომარეები.

თათბირმა განიხილა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 40 წლისთავისადმი მიძღვნილი სპარტაკიადის ჩატარების საკითხი. ამ დიდი ღონისძიების გარშემო აზრი გამოთქვეს გ. სულაბერიძემ (საქართველოს ადგილობრივი მრეწველობისა და კომუნალური მეურნეობის მუშაკთა კავშირის თავმჯდომარე), ო, აბუაშვილმა („სპარტაკის" საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარე), კ. მოისწრაფიშვილმა (თბილისის საქალაქო საბჭოს ადგილობრივი მრეწველობის სამმართველოს უფროსი), ა. ჩიგავამ (თბილისის მე-6 სავაჭრო ფაბრიკის დირექტორი) და სხვებმა. თათბირმა დასახა ღონისძიება საიუბილეო სპარტაკიადაში „სპარტაკის" ორგანიზაციების მონაწილეობის შესახებ.

# ჟურნალისტის ჩანაწერები

## სტადიონი მიესალმა... სპორტსმენის მამას

როდესაც ამერიკელებმა ზედიზედ განიცადეს მარცხი „თავიანთ" სახეობებში — 100, 200 მეტრზე რბენასა და სიმაღლეზე ხტომაში, „შურისძიება" 400 მეტრზე თარჯრბენში გადაწყვიტეს და მიზანსაც მიაღწიეს. სამმა ამერიკელმა—გ. დევისმა (49,3), ქ. კაშმენმა (49,6) და რ. ჰოუარდმა (49,7) თითქოს პირი შეკრეს — წინ არავინ გაუშვეს. მხოლოდ ფინიშთან დანაწევრდნენ და ასეთივე თანმიმდევრობით დაამთავრეს დისტანცია. მეორე მნიშვნელოვანი გამარჯვება აშშ-ს სპორტსმენებმა 400 მეტრზე რბენასა და სიგრძეზე ხტომაში მოიპოვეს. სიგრძეზე ხტომაში ერთ-ერთ ცდაზე ბოსტონმა აჩვენა 8 მეტრი და 12 სანტიმეტრი. მეორე შედეგი ამერიკელ რობერსონს — 803 სმ ჰქონდა. მესამე იყო ტერ-ოვანესიანი — 790 სმ. ფინალის უკანასკნელ ცდაზე 812 სმ-ს გაუმჯობესება ვერავინ შეძლო. მხოლოდ ტერ-ოვანესიანმა გადაინაცვლა მეორე ადგილზე — 804 სმ, მაგრამ რობერსონის უკანასკნელი ნახტომი მხოლოდ 1 სანტიმეტრით ნაკლები აღმოჩნდა ბოსტონის შედეგზე. 400 მეტრზე რბენაში ეჭვს არ იწვევდა ამერიკელ დევისის გამარჯვება და იგი მართლაც ფინიშთან ფენომენალურ დროში მივიდა — 44,9. ეს შედეგი აღიარებულ იქნა ოლიმპიურ და მსოფლიო რეკორდად. თუ კი პირველი ადგილის მფლობელის გვარი ფინალურ გარბენამდე თითქმის ცნობილი იყო და ათიათასობით მაყურებელში არავის ეეჭვებოდა დევისის წარმატება, მეორე ადგილის პრეტენდენტად ერთხმად ამერიკელ ე. იანგს ასახელებდნენ. თუ დევისმა გაამართლა მაყურებელთა იმედები, სამაგიეროდ იანგი ფინიშთან მხოლოდ მეექვსე იყო, მეორე საპრიზო ადგილი დაიკავა გერმანელმა სპორტსმენმა ქ. კაუფმანმა. მან არა თუ ჯეროვანი წინააღმდეგობა გაუწია დევისს, არამედ ეჭვის გარეშე დააყენა მისი გამარჯვება. საქმე იმაშია, რომ გერმანელმა ამერიკელის შედეგი აჩვენა და იგი მკერდით უკან აღმოჩნდა გამარჯვებულზე. ამ ამბავმა დიდი აღტაცება გამოიწვია სტადიონის ერთ-ერთ ტრიბუნაზე, სადაც როგორც შემდეგ გავიგეთ, გერმანელ ტურისტებს მოეყარათ თავი (საერთოდ ოლიმპიადის დღეებში ტურისტთა მეტი რაოდენობა გერმანიიდან იყო), რომლებიც, შეიარაღებულნი სხვადასხვა მუსიკალური ინსტრუმენტებით, იქაურობას აყრუებდნენ. მეორე ადგილის მფლობელად კაუფმანი გამოაცხადეს და გერმანელ ტურისტებს მთელი სტადიონი აჰყვა. შეიქნა ყვირილი, კვილიც კი, მქუხარე ტაშის ცემა, თითქოს ყველას დაავიწყდა ახალი მსოფლიო რეკორდის ავტორი დევისი. საქმე იქამდე მივიდა, რომ ერთმა დარბაისელმა ჭაღარა მოხუცმა არაფრად ჩააგდო პოლიციელთა სიფხიზლე, ჭაბუკურად გადაევლო საკმაოდ ძნელად დასაძლევ მოაჯირს და ოლიმპიური სტადიონის იმ სექტორზე აღმოჩნდა, რომელზეც შეჯიბრების მსაჯებსაც კი ეკრძალებოდათ ყოფნა. მოხუცმა გადაჰკოცნა კაუფმანი. პოლიციელთა ჯგუფი როცა მასთან მიიჭრა, წესრიგის დამცველებს თვით გერმანელი სპორტსმენი გადაეღობა წინ. ოლიმპიური პროგრამით ამ გაუთვალისწინებელი „სპორტული სახეობის" ავტორი კაუფმანის მამა აღმოჩნდა, ეს სენსაციური ცნობა ელვის სისწრაფით მოედო მთელს სტადიონს და ახლა ათასობით მაყურებელი მოხუც კაუფმანს ესალმებოდა.

✦

## ვინ უფრო მოსწონდა იტალიელ მაყურებელს

აშშ-სსრ კავშირის კალათბურთელთა მატჩის დროს შეჯიბრების მაყურებელი ამერიკელ სპორტსმენთა მხარეზე იყო. ეს ალბათ იმიტომ, რომ ამერიკელები თამაშობდნენ შეუცდომლად, ყოველგვარი დაძაბულობის გარეშე, არაჩვეულებრივი სიმსუბუქით. ბურთი პარტნიორიდან პარტნიორამდე ზუსტი მისამართით მიდიოდა, სპორტსმენები ზუსტად ტყორცნიდნენ კალათში და თუ რომელიმე ფარს ააცდენდა, იქვე აღმოჩნდებოდა ზანგი ო. რობერტსონი და იგი ფარიდან ატყორცნილ ბურთს წამსვე კალათში ათავსებდა. ეს ძალზე მოსწონდა იტალიელ მაყურებელს და ამერიკელთა ყოველ ლამაზ კომბინაციას, ზუსტად ნატყორც ბურთს ტაშით ხვდებოდა. ამერიკელებმა მატჩი ადვილად მოიგეს და მაყურებელთა მქუხარე ტაშის ქვეშ დატოვეს მოედანი.

ჩემს გვერდით მჯდომმა ერთ-ერთმა საბჭოთა ჟურნალისტმა განაწყენებული ტონით მითხრა: მე დავრწმუნდი იმაში, რომ ოლიმპიადაზე იტალიელთა სიმპათიებს მხოლოდ ამერიკელები იმსახურებენო. მე მას, რასაკვირველია არ დავეთანხმე, რადგან იტალიელი მაყურებელი ძალზე ობიექტური მეჩვენებოდა, თანამემამულეთა გამოსვლის გარდა ისინი ნაკლებ ყურადღებას აქცევდნენ, თუ რომელი გუნდი იმარჯვებდა. ტაშით აჯილდოებდნენ მხოლოდ მას, ვინც მაღალ ისტატობას ავლენდა, ვინც მეტ სიამოვნებას მოჰგვრიდა მათ. აზრი იმის შესახებ, რომ ადგილობრივი მაყურებელი არაობიექტური იყო, მთლიანად გაქარწყლდა კრივში ფინალური შეხვედრების დროს. „პალაცო დელო სპორტის" ტრიბუნებზე ტევა არ იყო. იტალიელებს ძალზე უყვართ სპორტის ეს სახეობა და ამჯერად მათი განსაკუთრებული ინტერესი კანონზომიერი იყო — ფინალში 6 იტალიელი მოკრივე იბრძოდა ჩემპიონის ოქროს მედლისათვის. იტალიელებს დიდი ხმაურით და ტაშის ცემით ხვდებოდნენ და აცილებდნენ თავიანთ თანამემამულეებს, მათ ყოველ უმნიშვნელო დარტყმას დარბაზი მქუხარე ტაშით აღნიშნავდა. საბჭოთა ჟურნალისტები ცოტა არ იყოს უხერხულ მდგომარეობაში აღმოვჩნდით, თითქოს შევშინდით კიდეც, როცა რინგზე ჩვენი სპორტსმენი ო. გრიგორიევი და იტალიელი პ. ძამპარინი გამოვიდნენ. წინასწარ ვგრძნობდით თუ რა მოხდებოდა, ო. გრიგორიევს ძალზე გაუჭირდებოდა. მართლაც, დაიწყო თუ არა ბრძოლა დარბაზში, მხოლოდ ძამპარინის სახელს გაიგონებდით, იტალიელი მაყურებელი შეუსვენებელი შეძახილებით ამხნევებდა თანამემამულეს, მათ თითქოს ყველაფერი „გააკეთეს", რათა გაემარჯვა მათთვის საყვარელ სპორტსმენს, მაგრამ, როცა შეხვედრა დამთავრდა, შედეგი გამოცხადდა და მსაჯმა გრიგორიევის ხელი მაღლა ასწია, საბჭოთა სპორტსმენი ისეთი ოვაციით გააცილეს, როგორც ძამპარინი, როცა იგი ფინალური ბრძოლის წინ რინგზე ავიდა.

**ზ. ჯაფარიძე.**

**ჩვენი სპეციალური კორესპონდენტი რომის ოლიმპიურ თამაშებზე.**

**(გაგრძელება იქნება).**

# საფეხბურთო მიმოხილვა



## „ა" კლასში

✦

### გათამაშების ცხრილები

#### I-VI ადგილები

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „ტორპედო" | 4 | 3 | 1 | 0 | 8:1 | 7 |
| „დინამო" კ. | 4 | 2 | 0 | 2 | 9:5 | 4 |
| „დინამო" მ. | 4 | 2 | 0 | 2 | 4:5 | 4 |
| „ლოკომოტივი" | 4 | 1 | 1 | 2 | 8:9 | 3 |
| ხკა | 4 | 0 | 3 | 1 | 2:4 | 3 |
| ცსკა | 4 | 1 | 1 | 2 | 2:9 | 3 |

• • •

#### VII-XII ადგილები

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „დინამო" თბ. | 4 | 3 | 1 | 0 | 7:2 | 7 |
| „ადმირალტეეცი" | 4 | 3 | 0 | 1 | 7:3 | 6 |
| „სპარტაკი" მ. | 4 | 1 | 2 | 1 | 4:4 | 4 |
| „სპარტაკი" ერ. | 4 | 1 | 1 | 2 | 3:6 | 3 |
| „ბელარუსი" | 4 | 1 | 0 | 3 | 2:5 | 2 |
| „დაუგავა" | 4 | 0 | 2 | 2 | 1:4 | 2 |

• • •

18 სექტემბერს შედგა მორიგი კალენდარული მატჩები ფეხბურთში „ა" კლასის კოლექტივებს შორის.

პირველ ექვსეულში მყოფი გუნდებიდან მოსკოვის არმიელებმა დაამარცხეს „ლოკომოტივი"— 2:1, ხოლო როსტოვის ხკა-მ საკუთარ მინდორზე წააგო მატჩი მოსკოვის „დინამოსთან" — 0:2.

VII-XII ადგილებისათვის მებრძოლ გუნდებს შორის მოსკოვის „სპარტაკმა" მინსკში დაამარცხა ადგილობრივი „ბელარუსი" — 2:1, ხოლო რიგის „დაუგავასი" და ერევნის „სპარტაკის" შეხვედრა, რომელიც რიგაში შედგა, დამთავრდა ფრედ — 0:0.

✦

## ლიდერთა მატჩი ლენინგრადში

ლენინგრადი. (ტელეფონით ჩვენი კორ.). „ა" კლასის მეორე ეშელონში 18 სექტემბრისათვის ლიდერობდა ორი გუნდი: „ადმირალტეეცი" (ლენინგრადი) და „დინამო" (თბილისი). ამიტომ მათი მატჩი, რომელიც ამ დღეს შედგა ს. მ. კიროვის სახელობის სტადიონზე, საყოველთაო ყურადღების ცენტრში იდგა.

შეხვედრამ მთლიანად გაამართლა მოლოდინი. მატჩი თავიდან ბოლომდე მიმდინარეობდა სწრაფ ტემპში, საინტერესოდ. ლენინგრადელებმა, თუმცა, ღირსეული წინააღმდეგობა გაუწიეს თბილისის „დინამოს", მაინც განიცადეს უამარცხება და შეიძლება ითქვას კანონიერიც, ვინაიდან თბილისელები მათზე საგრძნობლად ძლიერები იყვნენ.

მართალია, „ადმირალტეეცს" ჰქონდა ძლიერი შეტევები, განსაკუთრებით მეორე ტაიმში, როცა მეკარე კოტრიკაძეს, ცენტრალურ მცველს ჩოხელსა და მათ პარტნიორებს მთელი თავიანთი ხელოვნების გამოჩენა დასჭირდათ, რათა გადაერჩინათ კარი რამდენიმეჯერ შექმნილი რეალური ხიფათისაგან. მაგრამ საერთო უპირატესობა აშკარად თბილისელთა მხარეს იყო, რომლებიც მინიმალურ ანგარიშს — 1:0 დასჯერდნენ მხოლოდ იმის გამო, რომ ფორვარდებმა ვერ გამოიყენეს რამდენიმე უაღრესად ხელსაყრელი მომენტი. ასეთი შესაძლებლობანი ჰქონდათ მესხს, კალოევს, მელაშვილს.

გოლი, რომელმაც თბილისელებს მოუტანა გამარჯვება, გაიტანა ბარქაიამ მესხის მოწოდებით პირველ ტაიმში — 1:0.

თბილისის „დინამო" თამაშობდა შემდეგი შემადგენლობით: კოტრიკაძე; სიჭინავა, ჩოხელი, ხოჭოლავა; ზენკლიშვილი, იამანიძე; მელაშვილი, ბარქაია, კალოევი, დოლობერიძე, მესხი.

## „ბ" კლასში

### „ლოკომოტივი" (თბილისი) — „ხიმიკი" (მოგილიოვი) — 2:1

18 სექტემბერს თბილისის „დინამოს" სტადიონზე შედგა „ბ" კლასის მოკავშირე რესპუბლიკათა I ზონის გუნდების მატჩი ფეხბურთში. თამაშობდნენ „ლოკომოტივი" (თბილისი)— „ხიმიკი" (მოგილიოვი).

მიუხედავად ნაწვიმარი, მძიმე გრუნტისა, თბილისელებმა სწრაფ ტემპში დაიწყეს თამაში. მათ დიდი უპირატესობა ჰქონდათ როგორც მინდვრის შუაგულში, ისე მოწინააღმდეგის საჯარიმო მოედნის სიახლოვეს, მაგრამ თავდამსხმელები ვერ იყენებდნენ ხელსაყრელ მომენტებს.

მალე ლოკომოტიველთა ერთ-ერთი იერიში ურთქმელიძის გოლით დამთავრდა, ხოლო შემდგომში ცერცვაძემ ანგარიში ორამდე გაზარდა — 2:0.

ასეთივე უპირატესობა ჰქონდა „ლოკომოტივს" მეორე ტაიმშიც. ბურთი ხანგრძლივად ტრიალებდა „ხიმიკის" კართან, მაგრამ ფორვარდების საბოლოო დარტყმები არ იყო ზუსტი.

დასასრულისათვის მოგილიოვის გუნდმა შეძლო მდგომარეობის გამოსწორება და შეტევაზეც გადავიდა. თავდამსხმელებმა კარგად გამოიყენეს მასპინძელთა დაცვაში დაშვებული შეცდომა და გაქვითეს ერთი გოლი.

მატჩი მოიგო თბილისის „ლოკომოტივმა" ანგარიშით 2:1.

✦

### „დინამო" (ბათუმი) — „შირაქი" (ლენინაკანი) — 2:2

ამავე დღეს ბათუმში თამაშობდნენ ადგილობრივი „დინამო" და ლენინაკანის „შირაქი".

ბათუმში მთელი დღე თითქმის განუწყვეტლივ წვიმდა. საფეხბურთო მინდორი დაფარული იყო წყლით და მოთამაშეებს ძლიერ უჭირდათ ბურთის დამუშავება, სწრაფი ტემპის განვითარება.

სტუმრები უფრო ადრე შეეჩვიენ თამაშის ძნელ პირობებს და მძიმე გრუნტს. „დინამოს" დაცვას სულ უფრო უჭირდა მოწინააღმდეგის იერიშების მოგერიება და უმისამართოდ აგზავნიდა ბურთს მინდვრის ფარგლებს გარეთ.

მე-13 წუთზე „შირაქის" ერთ-ერთმა თავდამსხმელმა შორი მანძილიდან დაარტყა კარში. კვაჭაძემ შეძლო ბურთის აღება, მაგრამ გაუვარდა იგი ხელიდან და განმეორებით დარტყმის შემდეგ ანგარიში გაიხსნა — 1:0.

მიუხედავად იმისა, რომ ლენინაკანელებს კვლავ ჰქონდათ უპირატესობა, 36-ე წუთზე გატანილ იქნა საპასუხო გოლი: მენაბდემ მიიღო ჩხარტიშვილის გადაცემა და ზუსტად გაგზავნა ბურთი კარში — 1:1.

ტაიმის ბოლო წუთზე „შირაქმა" კვლავ შეძლო თავისი ერთ-ერთი იერიშის დამთავრება გოლით და შესვენებაზე წავიდა ანგარიშით 2:1 თავის სასარგებლოდ.

დინამოელებმა შედარებით გამოასწორეს თამაში მეორე ტაიმში. მოწესრიგდა ურთიერთმოქმედება ცენტრში, უკეთ თამაშობდა დაცვა.

მატჩის დასასრულს ლენინაკანელთა უხეში თამაშისათვის დაინიშნა 11-მეტრიანი საჯარიმო, რომელიც კარგად გამოიყენა მენაბდემ — 2:2.

**ვ მოხეშვილი**

• • •

18 სექტემბერს საქართველოს გუნდებმა, რომლებიც იმყოფებიან „ბ" კლასის მოკავშირე რესპუბლიკათა II ზონაში, ჩაატარეს თავიანთი მორიგი მატჩები საკავშირო პირველობაზე ფეხბურთში.

ქუთაისის „ტორპედო" ლენინაბადში შეხვდა ადგილობრივ „პამირს". მატჩის ანგარიშია — 1:1.

ფერგანის „სპარტაკმა" თავის მინდორზე მიიღო თბილისის „ბურევესტნიკი". მატჩი დამთავრდა ფრედ — 1:1.

## თბილისის თასი

ორ თვეზე მეტ ხანს გაგრძელდა თბილისის თასის გათამაშება. გათამაშების ფინალში გავიდნენ „სინათლე" (ტრანსპორტის მთავარი სამმართველო) და „ტორპედო" (კიროვის სახ. ჩარხმშენებელი ქარხანა).

მატჩის ძირითადი დრო — 90 წუთი მიმდინარეობდა თანაბარ ბრძოლაში და დამთავრდა უშედეგოდ — 0:0. დამატებით დროში სურათი მინდორზე მთლიანად შეიცვალა. ტრანსპორტელებმა ხელთ აიღეს ინიციატივა, კარგად გამოიყენეს კიროველთა არასაკმარისი ფიზიკური მომზადება და დაამარცხეს ისინი ანგარიშით 6:0. თბილისის თასი მოიპოვა „სინათლემ".

გათამაშების მსვლელობაში ადგილი ჰქონდა დისციპლინის დარღვევის შემთხვევებს. ასე, მაგალითად, უხეში თამაშისა და გინებისათვის მინდვრიდან იქნენ გაძევებული სახელმწიფო უნივერსიტეტის ფეხბურთელები გ. ჰელიძე, ზ. ლეჟავა, აბრეშუმსაქსოვ ფაბრიკიდან — ზ. ჩიჩელაშვილი, პოლიტექნიკური ინსტიტუტიდან — ზ. გეგეჭკორი, პლასტმასის ქარხნიდან — ვ. შხოეცოვი და გ. ხუჭუა. აღნიშნულ მოთამაშეთა მიმართ მიღებულ იქნა სათანადო ზომები, მაგრამ საქმეს მხოლოდ ეს არ შველის. ყოველი გუნდის ხელმძღვანელობამ უნდა იზრუნოს, რათა კოლექტივში აღმოფხვრას უდისციპლინობის შემთხვევები.

**ა. გონელი**

## საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 40 წლისთავის აღსანიშნავად

# საუკეთესო სპორტული მარშისათვის

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 40 წლისთავთან დაკავშირებით საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის საბჭოს პრეზიდიუმმა გამოაცხადა კონკურსი სპორტულ სიმღერა-მარშზე.

კონკურსში გამარჯვებულთათვის დაწესებულია სამი პრემია: I — 2.500 მან. II — 2.000 მან. III — 1.500 მან; თვითეული გამარჯვებული მარშის ტექსტის ავტორს მიეცემა 600 მანეთი პრემია.

კონკურსში მონაწილეობისათვის ნაწარმოების წარმოდგენის უკანასკნელი ვადაა 1960 წლის 15 ნოემბერი, ნაწარმოებები წარმოდგენილ უნდა იქნას დახურული სახით, დევიზით. საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის საბჭოს სახელზე.

# საუკეთესო სცენარისათვის

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 40 წლისთავთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სახელმწიფო კომიტეტმა გამოაცხადა კონკურსი სპორტული გამოსვლების სცენარის შედგენაზე. კონკურსის პირობებია:

1. სცენარი უნდა ითვალისწინებდეს უმაღლესი სასწავლებლების 2.000 სპორტსმენის — 1.000 ქალისა და 1.000 ვაჟის გამოსვლას.

2. სპორტულ-მხატვრული გამოსვლის დრო ნავარაუდევი უნდა იქნას 10-15 წუთზე, ხოლო ჩატარების ადგილად — „ბურევესტნიკის“ სტადიონი.

3. სცენარი უნდა ითვალისწინებდეს, რაც შეიძლება მცირე რაოდენობით დამხმარე იარაღებს.

4. სცენართან ერთად წარმოდგენილ უნდა იქნას ესკიზები, მაკეტები და ა. შ.

სცენარის წარმოდგენის უკანასკნელი ვადაა 15 დღე კონკურსის გამოცხადების დღიდან.

საუკეთესო სცენარისათვის დაწესებულია: პირველი პრემია — 5.000 მანეთი, მეორე პრემია — 3.000 მანეთი, მესამე პრემია — 1.500 მანეთი.

სცენარი წარმოდგენილ უნდა იქნას უმაღლესი და საშუალო განათლების სახელმწიფო კომიტეტში, დევიზით. მისამართია: თბილისი, მთავრობის სახლი, მეექვსე სართული, ოთახი № 43, წარწერით — „კონკურსისათვის“.





# „უშბას“ მშენებლობა უნდა დაჩქარდეს

ზემო სვანეთის ერთ-ერთ თვალწარმტაც ადგილას, მესტიის მახლობლად დაიწყო ალპური ბანაკის „უშბას“ მშენებლობა. იგი ერთ-ერთი ყველაზე კეთილმოწყობილი და ულამაზესი იქნება საბჭოთა კავშირში. პროექტის ავტორმა (არქიტექტორი ფ. ნადარაია) ბევრი შემოქმედებითი გამომგონებლობა ჩააქსოვა თავის ნამუშევარში. გარდა თანამედროვე საშენი მასალებისა (ბეტონისა და მიწისა), პროექტი ითვალისწინებს ადგილობრივი ქანების გამოყენებასაც. კორპუსი ფასადით მიმართულია უშბისკენ, ნაგებობა მსუბუქია, ლამაზი. მას ექნება სასადილო 200 კაცისათვის, დასასვენებელი კორპუსი, 12-მეტრიან კოშკში მოეწყობა სათვალთვალო პუნქტი, დაპროექტებულია აგრეთვე ბაზა მოთხილამურეებისათვის საბაგირო გზით.

თუ როდის მიიღებენ ამ მშვენიერ საჩუქარს ქართველი ალპინისტები, ამაზე პასუხი უნდა გასცეს იმ ორგანიზაციამ, რომელიც მშენებლობას აწარმოებს. ჩვენ ამას იმიტომ ვამბობთ, რომ მშენებლობა მეტისმეტად ნელი ტემპით მიმდინარეობს.

ახლა ბანაკი „უშბა“ მართალია კარვებში, მაგრამ მაინც მოქმედებს და ქვეყანას უმზადებს მამაცთა პლეადას.

• • •

**სურათებზე:** მარცხნიდან — „უშბის“ ბანაკი დღეს, ალპინისტები მწვერვალ ბანგურიანზე, ბომქანცველი ლაშქრობის შემდეგ სპორტსმენები ისვენებენ.

ფოტო და ტექსტი
გ. ბაციაშვილისა

# ჩემპიონი ექს-ჩემპიონის წინააღმდეგ

ბრაზილიის ფეხბურთის ფედერაცია შეუთანხმდა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ფეხბურთელთა კავშირს პირველი ნაკრები გუნდების შეხვედრის მოწყობის შესახებ. მატჩი შედგება რიო-დე-ჟანეიროში მომავალი წლის 29 მარტს. ეს ერთ-ერთი წამყვანი ევროპული ნაკრების მესაჩე ტურნე იქნება სამხრეთ ამერიკაში მსოფლიო ჩემპიონატის შემდეგ. აქამდე, როგორც ცნობილია, სამხრეთ ამერიკაში წარუმატებლად იმოგზაურეს ინგლისისა და ესპანეთის ნაკრებებმა. ბრაზილიისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ნაკრები კოლექტივები არასოდეს შეხვედრიან ერთმანეთს. 1954 წლის მსოფლიო ჩემპიონატში, როდესაც გერმანელებმა პირველი ადგილი მოიპოვეს, ბრაზილიელები დამარცხდნენ მერვედფინალში, ხოლო 1958 წელს მათი შეხვედრა არ შედგა ნახევარფინალში გერმანელთა დამარცხების გამო.

გერმანელთა მწვრთნელი ზ. ჰერბერგერი მიზნად ისახავს გააცნოს თავის საფუძვლიანად გადახალისებულ ნაკრებს სამხრეთ ამერიკელთა თამაშის მანერა. ამ მიზნით იგი კიდევ ორ მატჩს გამართავს. 2 აპრილს გერმანელები ბუენოს-აირესში შეხვდებიან არგენტინის ნაკრებს, ხოლო 9 აპრილს სანტ-იაგოში ჩილის გუნდს. ეს იქნება ჰერბერგერის „დაზვერვითი მოგზაურობა“ სამხრეთ ამერიკაში მორიგი მსოფლიო ჩემპიონატის წინ.

ბრაზილიელთა მწვრთნელი ვ. ფეოლა გერმანელებთან შეხვედრის შემდეგ აპირებს თავისი გუნდით ევროპაში გამგზავრებას, სადაც განზრახულია წამყვან კოლექტივებთან შეხვედრა.. ფეოლა წაიყვანს იმ ფეხბურთელებს, რომლებიც, მისი აზრით, მონაწილეობას მიიღებენ მსოფლიო ჩემპიონატში. მართალია, ბრაზილიელთა თავდასხმამ კიდევ დიდი დანაკლისი განიცადა. სამშობლოში დაბრუნდა თუ არა, ცნობილმა მილიონერმა არმანდიმ გადაიბირა ნაკრების „დირიჟორი“ — დიდი, რომელიც უკვე მონაწილეობს არგენტინის ჩემპიონატში, სადაც მისი ახალი გუნდი იბრძვის ლიდერობისათვის.

# თასი თამაშდება მეექვსეჯერ

ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის მეექვსე გათამაშებაში, რომელიც ახლახან დაიწყო, მონაწილეობს: „სტად დე რეიმსი“ (საფრანგეთი), „ბერნლეი“ (ინგლისი), „ბარსელონა“ და „რეალი“ (ესპანეთი), „იუვენტუსი“ (იტალია), „რაპიდი“ (ავსტრალია), ცდნა (ბულგარეთი), „ლირსი“ (ბელგია), „სპარტაკ გრადეც კარლოვე“ (ჩეხოსლოვაკია), „ვისმუტი“ (გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა), „ჰამბურგერ შპორტ ფერაინი“ (გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა), „პანათანაიკოსი“ (საბერძნეთი), „აიაქსი“ (ჰოლანდია), „ლიმერიკი“ (ირლანდია), „რეიკიავიკი“ (ისლანდია), „ცრვენა ზვეზდა“ (იუგოსლავია), „ჟანესი“ (ლუქსემბურგი), „გლანოვენი“ (ჩრდილო ირლანდია), „ფრედრიკსტადი“ (ნორვეგია), „ბენფიკა“ (პორტუგალია), ჩჩა (რუმინეთი), „მიდლოტიანი“ (შოტლანდია), „ბეშიკთაში“ (თურქეთი) და „უიპეშტი“ (უნგრეთი).

ამჟამად მიმდინარეობს შესარჩევი შეხვედრები. თასის ხუთგზის ჩემპიონი — „რეალი“ გათამაშებაში ჩაებმება მეორე ტურიდან. მის გარდა თასის მოპოვების უმთავრეს პრეტენდენტებად მიაჩნიათ „რეიმსი“, რომელმაც უკვე ორჯერ მიაღწია ფინალამდე, საუცხოო ფორმაში მყოფი „იუვენტუსი“, „ბარსელონა“ და ცდნა.

# სხვათა შორის

### როცა ჩაეძინა

ეს მოხდა საფრანგეთის მეორეხარისხოვანი საფეხბურთო გუნდების მატჩში. „ას სევინიმ“ დაამარცხა „ოლიმპიკ ბასტრი“ ასტრონომიული ანგარიშით — 15:1.

დამარცხებულნი მთელი მატჩის განმავლობაში მხოლოდ იმას აკეთებდნენ, რომ თავს იცავდნენ და ერთადერთი საპასუხო ბურთის გატანა შეძლეს მხოლოდ თამაშის დასასრულს, როცა „სევინის“ მეკარეს მოწყენილობისაგან ჩაეძინა და გაუშვა შორიდან დარტყმული ბურთი.

# ჩემპიონების და ვიცე-ჩემპიონების შეჯიბრება

ინგლისის ფეხბურთის ფედერაციის ინიციატივით ამიერიდან მოეწყობა დასავლეთ ევროპის ქვეყნების ჩემპიონებისა და მეორე ადგილზე გამოსულ გუნდების ტურნირი ეროვნული ჩემპიონატების დამთავრების შემდეგ. ეს იქნება თავისებური „დასავლეთ ევროპის ჩემპიონატი“, რომელიც ჩემპიონთა თასის გათამაშებისაგან იმით განსხვავდება, რომ თამაშები მოეწყობა წრიული სისტემით. შეჯიბრებაში ითამაშებენ ინგლისის, საფრანგეთის, შოტლანდიის, დანიის, იტალიის, ესპანეთისა და შვეიცარიის გუნდები.

**რედაქტორი ი. უგულავა.**

გაზეთი გამოდის სამშაბათობით, ხუთშაბათობით და კვირაობით. რედაქციის მისამართი: თბილისი, ელბაქიძის დაღმართი № 12. დეპეშებისათვის, თბილისი, „ლელო“, ტელეფონები: რედაქტორის — 3-89 62, პასუხისმგებელი მდივნის და განყოფილებების — 3-90-34. გამომშვების — 3-01.06.

 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 14. უე 04374